



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*10*“ *11* 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

N65/00

2013 წლის 1 იანვარი-2014 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებანი.....	4
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები.....	11
სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები.....	11
შტატგარეშე მოსამსახურეები.....	13
გადასახადების დეკლარირება.....	14
დანამატები.....	14
მივლინებები.....	18
წარმომადგენლობითი ხარჯი.....	20
სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი.....	20
სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები.....	21
<i>საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა.....</i>	<i>22</i>
ცესკო-ს მიერ 2013 -2014 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.....	26
<i>შესყიდვების დაგეგმვა.....</i>	<i>27</i>
<i>საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა.....</i>	<i>30</i>
<i>შესყიდვებისას გადახდილი დღგ.....</i>	<i>30</i>
<i>საბეჭდი მოწყობილობის შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერით.....</i>	<i>32</i>
<i>ავტომობილის ჩანაცვლება.....</i>	<i>33</i>
<i>ექსკლუზიური უფლება.....</i>	<i>34</i>
<i>სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.....</i>	<i>35</i>
<i>სახელშეკრულებო ვადები.....</i>	<i>36</i>
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული შესყიდვები.....	37
<i>შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.....</i>	<i>37</i>
<i>პრინტერის შესყიდვა.....</i>	<i>39</i>
საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობა.....	41
<i>საოლქო კომისიების დაფინანსება.....</i>	<i>41</i>
<i>ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ხარვეზები.....</i>	<i>42</i>

საოლქო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გამოყენება.....	43
შრომის ანაზღაურება	43
საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევა.....	45
ინტერესთა კონფლიქტი.....	46
საწვავის ხარჯვა	46
საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განხორციელებული შესყიდვები	49
კავშირგაბმულობის ხარჯი	52
გადაზიდვის ხარჯები.....	53
საარჩევნო უბნის ქირაობა	53
მატერიალური მარაგების ხარჯვა.....	55

ანგარიშში გამოყენებული შემოკლებანი

ცენტრალური საარჩევნო კომისია-ცესკო

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი-
სწავლების ცენტრი

საოლქო საარჩევნო კომისია-საოლქო კომისია

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. სასწავლო ცენტრსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, ამ უკანასკნელების მხრიდან არ ითვალისწინებდა მათი ინსტიტუციონალური გაძლიერების შემდეგ სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას, ხოლო სასწავლო ცენტრს არ გააჩნია მათი შემდგომი საქმიანობის მონიტორინგის არანაირი მექანიზმი.
2. აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, რომ გრანტის მიმღები ორგანიზაციების მხრიდან საგრანტო თანხების ხარჯვა მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად.
3. ცესკოს მიერ შესყიდვების დაგეგმვა ხორციელდებოდა არასრულყოფილად მიწოდების ბაზრის კვლევისა და არსებული მარაგების გათვალისწინების გარეშე. ამდენად, შესყიდვების წლიური გეგმები არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს.
4. ცესკო-ს მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ნაწილი განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, რითაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული “შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის” მე-4 მუხლის მოთხოვნები.
5. ცესკოს ხელმძღვანელობა არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს შესყიდვების განხორციელების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, რითაც იქმნებოდა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის გამოყენების ხელოვნური საფუძველი, რაც შეუსაბამოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

6. ცესკოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასაკმარისი კომუნიკაციის არსებობის გამო დროულად ვერ ხდებოდა შესასყიდი საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრა, რაც იწვევდა დაგვიანებულ და გადაუდებელ სახელმწიფო შესყიდვებს. დროული და კვალიფიციური დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვები განხორციელებულიყო სატენდერო პროცედურებით, რაც უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ და ეკონომიურ ხარჯვას.
7. აუდირებულ პერიოდში საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ცესკოს მიერ არ ჩატარებულა სათანადო ღონისძიებები პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის, ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისა და სავარაუდო ღირებულების გამოვლენის მიზნით, რაც უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.
8. ცესკოს და სწავლების ცენტრს არ გააჩნიათ ერთიანი კანონშესაბამისი პოზიცია ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვისას ხელშეკრულების ფასში დღგ-ის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მსგავსი/იდენტური სახეობის ნაბეჭდი მასალის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვისას მათ მიერ არ ხდებოდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრა, რაც შესაძლებელს გახდიდა მიმწოდებლისთვის დღგ-ის თანხის დაუსაბუთებლად გადახდის თავიდან აცილებას.
9. ცესკოს მიერ არაგონივრულად მაღალი ფასნამატი (შესაბამისად 38% და 62%) შესყიდულ იქნა XEROX D110 და XEROX NUVERA288EA-ს საბეჭდი მოწყობილობები.
10. ცესკო-ს მიერ აპარატის თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის შესწავლის მიზნით, შპს „აი ქიუ ცენტრი“-სგან გამარტივებული წესით შესყიდული იქნა მომსახურება, როგორც „ავალონის“ მეთოდით სწავლების ექსკლუზიური უფლების

მქონე ორგანიზაციასთან. ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რატომ იქნა მიჩნეული „ავალონის“ მეთოდით ინგლისური ენის სწავლება უალტერნატივოდ და გატარებული იქნა თუ არა რაიმე ღონისძიებები შესყიდვის ობიექტის მიზანშეწონილი ალტერნატივით ჩასანაცვლებად.

11. ცესკოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 60%-ს შეადგენს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გონივრული სავარაუდო ღირებულების დასადგენად ორგანიზაციის მიერ სათანადოდ არ ხდებოდა მიწოდების ბაზრის შესწავლა.
12. 2013-2014 წლებში ცესკოს მიერ საარჩევნო პერიოდში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვებისას, ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეკრულების გაფორმებისას არ ხდებოდა საარჩევნო პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებები შეუსაბამობაშია საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ საფუძველთან და ვადებთან.
13. სწავლების ცენტრის მიერ ცალკეული გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ePLAN მოდულში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, არაგონივრულად მაღალია სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობა. ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები პოტენციური მიმწოდებლების და ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის თაობაზე, რაც მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში სწავლების ცენტრის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე.
14. სწავლების ცენტრის მიერ პრინტერის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერილობაში გამოყენებული იქნა ერთი კონკრეტული მოდელის მონაცემები, რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.
15. 2013-2014 წლებში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცესკოს-ზე დამატებით გამოყოფილია შესაბამისად 6,388.0 ათასი ლარი და 4,770.2 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება აღნიშნული ოდენობით დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე.

16. ცესკოს შტატგარეშე მოსამსახურებთან გაფორმებული ჰქონდა ვადიანი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა უწყვეტად გრძელდებოდა მთელი აუდირებული პერიოდის განმავლობაში და ფაქტიურად შტატგარეშე მოსამსახურეები დასაქმებულები იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.
17. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ცესკოს წარედგინება ინფორმაცია საანგარიშგებო თვის მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადების შესახებ, რომლის დეკლარირებას ახორციელებს ცესკოს აპარატი. ცესკომ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ხელფასების დეკლარირება ხდებოდა ზუსტად და სამართლიანად.
18. 2013-2014 წლებში გაცემული დანამატების ოდენობა გაუმართლებელია, რამდენადაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საარჩევნო/ სარეფერენდუმო პერიოდში, ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ასევე ცესკოს აპარატის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.
19. ცესკოს მიერ ქვეყნის გარეთ მივლინების მუხლით გაწეული ზოგიერთი ხარჯი ხასიათდება შეუსაბამოებით, კერძოდ: არ არის წარმოდგენილი მიწვევები ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება მივლინების მიზნობრიობა და საფუძველი.
20. ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით ზოგიერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანებები ან/და მოხსენებითი ბარათები კონკრეტული ღონისძიების მოწყობის აუცილებლობის თაობაზე. ამასთან, წარმომადგენლობითი ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტებიდან არ ირკვევა ღონისძიებებზე დამსწრე პირთა ვინაობა.
21. სწავლების ცენტრის ბალანსზე ირიცხება 2010 წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომობილი. ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით, ავტომობილის ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება თუ რამდენად გამართლებულია აღნიშნული ავტომობილის ფლობა.

22. საოლქო კომისიების მიერ არ ხდება განაცხადების წარდგენა და მათი დაფინანსება ეფუძნება „წინა წლების პრაქტიკას“, რაც აუდიტის ჯგუფის შეფასებით დაგეგმვის პროცესის სისუსტეზე მიუთითებს.
23. საოლქო კომისიების მიერ საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდეგ ცესკოში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს ხარვეზებს.
24. 2013-2014 წლებში ცესკოს განკარგულებებით დადგენილია საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა, თუმცა დადგენილებები არ განსაზღვრავდა დაქირავებულ პირთა ხელფასების ოდენობას. შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას არ არსებობდა ერთიანი მიდგომა, განსხვავებული იყო სხვადასხვა საოლქო კომისიების მიერ ერთი და იგივე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა.
25. ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა სცდებოდა საარჩევნო პერიოდს. შედეგად, შრომის ანაზღაურება ზედმეტი ოდენობით იყო გაცემული.
26. საოლქო კომისიის თავმჯდომარეები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. აუდიტით დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში საოლქო კომისიის თავმჯდომარეები იმავდროულად ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნებს.
27. იყო შემთხვევები, როდესაც საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალის სახით დაქირავებული იყვნენ საოლქო კომისიის თავმჯდომარის, საოლქო კომისიის მუდმივი წევრების ახლო ნათესავები, ასევე მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების ხელმძღვანელები.
28. საოლქო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ადგილი ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტებს, კერძოდ ინტერესთა კონფლიქტს.
29. საოლქო კომისიების მიერ საწვავის შეძენა ხდებოდა გამარტივებული შესყიდვის გზით და არა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, რითაც დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები. ამასთან, საწვავის ხარჯვის პროცესზე როგორც საოლქო კომისიების, ასევე ცესკოს მიერ არასაკმარისი კონტროლი იყო დაწესებული, რის

შედეგადაც ადგილი ჰქონდა საწვავის არაეკონომიურად, არამიზნობრივად და დაუსაბუთებლად ხარჯვის ფაქტებს.

30. საოლქო კომისიების მიერ შეძენილი იყო ისეთი ღირებულებისა და დასახელების საქონელი, რომელთა შესყიდვაც აუდიტის ჯგუფის აზრით არ გამომდინარეობდა არჩევნების ჩატარების საჭიროებიდან.
31. რიგ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხორციელდებოდა არასაარჩევნო პერიოდში, რითაც დარღვეულია საარჩევნო კოდექსის და ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების მოთხოვნები.
32. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გადახდები განხორციელებული იყო წინასწარი ანგარიშსწორებით მიმწოდებლისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე, რაც შეუსაბამობაშია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნებთან.
33. საოლქო კომისიების მიერ კავშირგაბმულობის მომსახურების შესყიდვა ხორციელდებოდა ე.წ. „მონო-ბარათების“ მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მათი არამიზნობრივად და არაეკონომიურად გამოყენების რისკებს. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ გაწეული იყო არაგონივრულად დიდი ოდენობის კავშირგაბმულობის ხარჯი, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება.
34. ცესკოს დადგენილებები საოლქო კომისიებისთვის არჩევნების ჩატარების მიზნით ფულადი სახსრების გამოყოფის შესახებ ითვალისწინებდა საოლქო კომისიების მიერ გადაზიდვის მომსახურების შესყიდვას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო გონივრული რწმუნება გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე.
35. საოქლო საარჩევნო კომისიები საარჩევნო უბნის განსათავსებლად შენობა-ნაგებობებს სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობდნენ სხვადასხვა პირებისგან, მაშინ როდესაც მათ უფლება ჰქონდათ ადგილობრივი თვითმმართველობებისგან უსასყიდლოდ მიეღოთ შენობა-ნაგებობები. არსებობს

მაღალი რისკი იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრები არაეკონომიურად იქნეს გამოყენებული.

36. არასათანადო კონტროლის გამო, საოლქო კომისიებში ადგილი ჰქონდა როგორც მატერიალური მარაგების არაეკონომიურად ხარჯვის, აგრეთვე მათი აღურიცხაობის ფაქტებს.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ცესკოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ცესკოს 2013-2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები

2013 წელი

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცესკოს საბიუჯეტო ასიგნებათა დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 47,523.9 ათასი ლარით.

ცესკოს 2013 წლის წლიური საბიუჯეტო ასიგნებები გაზრდილია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ცესკოს თხოვნით¹ გამოყოფილი თანხებით, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N998 განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი 3,799.0 ათასი ლარით.
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 სექტემბრის N1354 განკარგულებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით პოლიტიკური პარტიების მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების წესში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოყოფილი 2,589.0 ათასი ლარით.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზემოთ ხსენებული ოდენობით დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ აუთვისებელი დარჩა ასიგნება 1,296.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში დანამატის სახით ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, ცესკოს წევრებზე, ცესკოს და სწავლების ცენტრის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 3,146.9 ათასი ლარი.

2014 წელი

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცესკოს საბიუჯეტო ასიგნებათა დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 54,500.0 ათასი ლარით.

2014 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცესკოს დამატებით გამოეყო 4,770.2 ათასი ლარი, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ივნისის N1138 განკარგულებით, 2014 წლის 15 ივნისის ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივ დაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა 3,000.0 ათასი ლარი.

¹ 2013 წლის 15 თებერვლის N01-06/152 და 2013 წლის 9 ივლისის N01-06/862 წერილები.

- ცესკოს თხოვნით (წერილი N01-06/1708, 01.08.2014), ვინაიდან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 3,000.0 ათასი ლარიდან, შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოქმნილი იყო ეკონომია 404.4 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის N1138 განკარგულებაში შესული იქნა ცვლილება (საქართველოს მთავრობის N1447 განკარგულება) და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა განისაზღვრა: „2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივი, ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე, არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების ნაწილობრივი დაფინანსება“.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N1327 განკარგულებით, 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისათვის გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოიყო 1,770.2 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ზემოთხსენებული ოდენობით დამატებითი თანხების მოთხოვნის აუცილებლობის თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ აუთენტიკური დარჩა ასიგნება 1,235.2 ათასი ლარის ოდენობით და ამავე პერიოდში შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში დანამატის სახით ცესკოს თავმჯდომარეზე, თავმჯდომარის მოადგილეზე, მდივანზე, ცესკოს წევრებზე, ცესკოს და სწავლების ცენტრის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომლებზე, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 2,882.1 ათასი ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეები

ცესკოს აუდირებულ პერიოდში, საქართველოს საარჩევნო და შრომითი კოდექსების საფუძველზე, შტატგარეშე მოსამსახურეების სახით დასაქმებული ჰყავდა საშუალოდ 80 პირი, რომლებთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. შტატგარეშე მოსამსახურეებთან, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში შრომითი საქმიანობის განხორციელების თაობაზე, დადებული იყო ვადიანი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა უწყვეტად გრძელდებოდა მთელი აუდირებული პერიოდის განმავლობაში (2013-2014 წწ) და ფაქტიურად შტატგარეშე მოსამსახურეები დასაქმებულები იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

სწავლების ცენტრის დებულების შესაბამისად ცენტრის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების, საარჩევნო სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების, მედია-საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ამომრჩევლებისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება. ამ მიზნით, სწავლების ცენტრი სხვადასხვა პირებს იღებდა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერის თანამდებობაზე, რომელთა შრომის ანაზღაურება დადგენილია შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სწავლების ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა ტრენერების შრომის ანაზღაურების თანხის განსაზღვრა.

გადასახადების დეკლარირება

საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდში გასცემენ ხელფასებს შტატგარეშე მოსამსახურეებზე. ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე ცესკოში წარადგენენ ინფორმაციას საანგარიშგებო თვის მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადების შესახებ, რომლის დეკლარირებას ახორციელებს ცესკოს აპარატი. ცესკომ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ხელფასების დეკლარირება ხდებოდა ზუსტად და სამართლიანად. აღნიშნული ხარვეზით ხასიათდებოდა აგრეთვე ცესკოს 2010-2012 წლების საქმიანობა², თუმცა ცესკოს მიერ არ იქნა განხორციელებული ქმედითი ღონისძიებები ზემოთ ხსენებული საკითხის გამოსწორების კუთხით.

აუდიტის შედეგად ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ერთი უნიკალური პირადი ნომრის მიხედვით სხვადასხვა პიროვნების ხელფასი არის დეკლარირებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს შიდა კონტროლის სისუსტეზე.

დანამატები

2013-2014 წლებში ცესკოს თავმჯდომარის და სწავლების ცენტრის შესაბამისი ბრძანებებით საარჩევნო პერიოდში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისათვის ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმიანობისთვის გაიცემოდა დანამატი, როგორც შტატით გათვალისწინებულ, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებზეც.

² იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს.

ცესკოს მიერ დანამატების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, ხოლო სწავლების ცენტრის შემთხვევაში საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლი.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.

ამასთან, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების მიხედვით დანამატი წარმოადგენს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს.

ვერც ცესკოს³ და ვერც სწავლების ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა და შესაბამისად ზეგანაკვეთური მუშაობისათვის გაცემული დანამატების ოდენობის განსაზღვრის საფუძველი.

2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში⁴, ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ როგორც შტატით გათვალისწინებულ, აგრეთვე შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია დანამატი თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობებით. 2013 წლის ნოემბერში დანამატი გაცემულია 2-ჯერ, ერთ შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს, ხოლო მეორე შემთხვევაში თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობით. 2014 წლის მაისისა და ივნისის თვეში⁵ ადგილი ჰქონდა თანამდებობრივი სარგოს ოდენობით დანამატის ორმაგი, ხოლო ივლისის თვეში სამმაგი ოდენობით გაცემის ფაქტებს.

ცესკოს თავმჯდომარის, მოადგილის და კომისიის წევრების მიერ 2013-2014 წლებში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

³ დანამატები გაიცემოდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით სტრუქტურული ერთეულების მიერ გაკეთებული წარდგინების საფუძველზე.

⁴ საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს 2013 წლის 4 ივლისიდან 12 ნოემბრის ჩათვლით

⁵ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების საარჩევნო პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს 2014 წლის 10 აპრილიდან 22 ივლისის ჩათვლით.

2013 წელს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული თანხები

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი	სულ
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (2013 წლის 29 აგვისტომდე)	46,335	24,444	25,800	96,579
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (2013 წლის სექტემბრიდან)	28,896	10,080	35,280	74,256
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	70,387	33,800	55,168	159,355
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი	68,744	27,090	53,610	149,444
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	29,453	45,566	133,452
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	25,883	45,566	129,882
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	23,027	45,566	127,026
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,088	23,027	45,048	126,163
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	24,455	45,566	128,454
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	58,433	23,027	45,566	127,026
სულ	798,347	342,106	624,996	1,765,449

2014 წელს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული თანხები

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი	სულ
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	77,108	34,272	43,105	154,485
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	64,868	28,832	38,383	132,083
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი	64,255	28,560	35,921	128,736
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	55,304	24,276	34,103	113,683
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	34,103	112,996
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	54,617	24,276	35,888	114,781
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	35,780	14,280	26,775	76,835
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	12,352	7,140	8,925	28,417
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	18,376	9,996	3,758	32,130
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	31,274	13,566	21,608	66,448
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი	3,570	3,570	-	7,140
სულ	745,208	334,424	462,008	1,541,640

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, ასეთი ოდენობით დანამატების გაცემა გაუმართლებელია, რამდენადაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში, ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ასევე ცესკოს აპარატის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.

მივლინებები

ცესკოს მიერ ქვეყნის გარეთ მივლინების მუხლით გაწეული ზოგიერთი ხარჯი ხასიათდება შეუსაბამოებით, კერძოდ: არ არის წარმოდგენილი მიწვევები ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება მივლინების მიზნობრიობა და საფუძველი. ასე მაგალითად:

- საპარლამენტო სწავლების საერთაშორისო ცენტრის (IPCS) მიერ ორგანიზებულ საარჩევნო საკითხთა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასწრების მიზნით, 2013 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მალაიზიაში, ქ. კუალა-ლუმპურში მივლინებული იყვნენ ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოს წევრი, ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, სწავლების ცენტრის დირექტორი და დირექტორის მოადგილე, სულ 5 პირი. IPCS-ის მიწვევის წერილის მიხედვით სიმპოზიუმზე დასასწრებად მიწვეული იყვნენ ცესკოს თავმჯდომარე, სწავლების ცენტრის დირექტორი და თანამშრომელი, ხოლო სხვა დანარჩენი პირების მივლინების მიზნობრიობასა და აუცილებლობის თაობაზე ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი მტკიცებულება.

აუდიტის ჯგუფმა ზოგიერთ მივლინებაზე ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება, იმის თაობაზე, რომ მივლინებული პირისთვის ანაზღაურებული სამივლინებო ხარჯები შესაბამისობაშია კანონმდებლობით⁶ დადგენილ ნორმებთან. ასე მაგალითად:

- ცესკოს თავმჯდომარის 2012 წლის⁷ 19 მარტის N04-23 ბრძანებით ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობისა და საარჩევნო დავების განყოფილების უფროსი მივლინებული იყო სომხეთის რესპუბლიკაში

⁶ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანება.

⁷ ცესკოს მიერ 2012 წელს მივლინების მუხლით გაწეული ხარჯების ჩამოწერა განხორციელდა 2014 წელს. (იხ. ანგარიში ცესკოს 2014 წლის ფინანსური აუდიტის შესახებ)

საპარლამენტო არჩევნებში გრძელვადიანი დამკვირვებლის სტატუსით. მოქმედი კანონმდებლობით სომხეთის რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმა დედაქალაქში შეადგენს 105 აშშ დოლარს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 53-აშშ დოლარს. ცესკოს მიერ მივლინებული პირისთვის სასტუმროს დაქირავების ხარჯები სრულად ანაზღაურებულია ქ.ერევანისთვის განსაზღვრული სადღეღამისო ნორმის შესაბამისად. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მივლინების პერიოდში სასტუმროს ხარჯები გაწეულ იქნა მხოლოდ ქ. ერევანის ტერიტორიაზე. ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით სასტუმროს ხარჯის (5,355 აშშ დოლარი) სისწორესა და რეალობაში.

- 2012 წლის 23 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე გრძელვადიანი დამკვირვებლის სტატუსით, ბელარუსის რესპუბლიკაში მივლინებით იმყოფებოდა ცესკოს დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი. სასტუმროს ხარჯი ამ შემთხვევაში გაანგარიშებულია კანონმდებლობით ქ.მინსკისთვის განსაზღვრული ნორმის (მინსკი-122 აშშ დოლარი, 76 აშშ დოლარი დანარჩენ ტერიტორიაზე) შესაბამისად. გამომდინარე იქედან, რომ აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მივლინების პერიოდში სასტუმროს ხარჯი გაწეულ იქნა მხოლოდ ქ.მინსკის ტერიტორიაზე. ჩვენ ვერ დავრწმუნდით სასტუმროს ხარჯის (4,758 აშშ დოლარი) სისწორესა და რეალობაში.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ სწავლების ცენტრის თანამშრომლები ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას უმეტეს შემთხვევაში სარგებლობდნენ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, არამედ სწავლების ცენტრის მიერ სხვადასხვა მეწარმე სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებებით (მძღოლთან ერთად).

აღნიშნულ მომსახურებაზე 2013 წელს დახარჯულია 25,947 ლარი, ხოლო 2014 წელს 27,324 ლარი. ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მივლინებებისას დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე მისაღები გზა.

წარმომადგენლობითი ხარჯი

ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით 2013 წელს სულ გაწეულია 179,571 ლარი, ხოლო 2014 წელს-215,269 ლარი.

აუდიტის შედეგად წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით გამოვლინდა შეუსაბამოებები კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კერძოდ: ზოგიერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანებები ან/და მოხსენებითი ბარათები კონკრეტული ღონისძიების მოწყობის აუცილებლობის თაობაზე. ამასთან, წარმომადგენლობითი ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტებიდან ვერ ირკვევა ღონისძიებებზე დამსწრე პირთა ვინაობა. ასე მაგალითად:

- 2014 წლის 18 ივნისს შპს „თბილისური მუხამბაზი“-ს მიერ გაწეულია 406.78 ლარის სარესტორნო მომსახურება 6 პერსონაზე. ცესკოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით აღნიშნული მომსახურება გაწეულია სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე, თუმცა ვერ ირკვევა მომსახურების მიმღებ პირთა ვინაობა.
- 2014 წლის 13 ივლისს შპს „ფართი ჰაუსი“-ს მიერ გაწეულია 5,747 ლარის ფურშეტით მომსახურება 100 პერსონაზე. ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ან/და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია თუ ვისზე და რა მიზნით გაიწია აღნიშნული მომსახურება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წარმომადგენლობით ხარჯებზე მიკუთვნებულია ცესკოს მიერ საარჩევნო პერიოდში თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა, რაც არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით დადგენილ წარმომადგენლობითი ხარჯების განმარტებას. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის მომსახურება ცესკოს უნდა განეხილა თანამშრომლის სარგებლად და დაეხეგრა საშემოსავლო გადასახადით, რაც არ გაკეთებულა.

სწავლების ცენტრის კუთვნილ ავტომობილზე გაწეული ხარჯი

სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარებისა და რეფორმების სწავლების ცენტრი“-ს ბალანსზე ირიცხება 2010 წელს გამოშვებული მაღალი გამავლობის ავტომობილი Hyundai Tucson სახ.ნომრით LQL-220, რომლის საწყისი (ისტორიული) ღირებულება შეადგენს 29,820 ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულება 2014 წლის ბოლოს 13,121 ლარს.

2013-2014 წლებში აღნიშნულ ავტომობილზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა 13,203 ლარი შეადგინა, რაც ავტომობილის საწყისი (ისტორიული) ღირებულების 44.3%-ია.

ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით, ავტომობილის წლოვანებიდან და მის მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე (მაგ: 6,451 ლარი 2012 წელს) აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება თუ რამდენად გამართლებულია აღნიშნული ავტომობილის ფლობა.

სწავლების ცენტრის მიერ გაცემული გრანტები

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30¹ მუხლის მიხედვით, სწავლების ცენტრი ასრულებს იმ ფონდის ფუნქციებს, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ირიცხება თანხა და რომლის მიზანია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამავე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% უნდა განაწილდეს პოლიტიკურ პარტიებზე, ხოლო 50% –არასამთავრობო ორგანიზაციებზე“. 2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების საერთო მოცულობამ 1,244.1 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს 1,511.5 ათასი ლარი.

სწავლების ცენტრის 2012 წლის 23 ივნისის N55 ბრძანებით დამტკიცებული „საგრანტო კონკურსის დებულების“ მე-4 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო თემატიკას, პროექტის ხანგრძლივობას და პროექტის დაფინანსების ფარგლებს განსაზღვრავდა სწავლების ცენტრი საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით და მტკიცდებოდა სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

ცენტრის დირექტორის 2013 წლის 5 თებერვლის N7 ბრძანებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსის თემატიკა განისაზღვრა შემდეგნაირად: „არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად“.

საგრანტო კონკურსის დამატებითი პირობები ითვალისწინებდა კონკურსში მხოლოდ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაციების მონაწილეობას და მათი შესაძლო დაფინანსების ოდენობა მათი მოღვაწეობის წლების პირდაპირპროპორციული იყო. ასე მაგალითად, მაქსიმალური ოდენობის გრანტის (100.0 ათას ლარამდე) მიღების ერთ-ერთ

აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საარჩევნო და სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება.

2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით 8 სხვადასხვა ორგანიზაციაზე გაცემული გრანტების ოდენობამ 386,5 ათასი ლარი შეადგინა. მათგან ორ ყველაზე დიდი დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციას, კერძოდ, ა(ა)იპ „ახალი თაობა ახალი ინიციატივა“ (2013 წელს მიღებული გრანტის ოდენობა-99,996 ლარი) და ა(ა)იპ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) (2013 წელს მიღებული გრანტის ოდენობა-99,655 ლარი) ამავე მიზნებისათვის 2012 წელსაც ჰქონდათ მიღებული გრანტი, 100.0 ათასი ლარი და 97,780 ლარი შესაბამისად.

სასწავლო ცენტრსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, ამ უკანასკნელების მხრიდან არ ითვალისწინებდა მათი ინსტიტუციონალური გაძლიერების შემდეგ სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, სასწავლო ცენტრს არ გააჩნია მათი შემდგომი საქმიანობის მონიტორინგის საკმარისი მექანიზმი.

საგრანტო თანხის მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად ხარჯვა

საგრანტო კონკურსის დებულების მე-11 მუხლის მიხედვით პროექტზე გაცემული საგრანტო თანხის ხარჯვა უნდა ხდებოდეს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად. აღნიშნული პრინციპების დაცვით პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გაცემული საგრანტო თანხებით შეიძლება დაფინანსდეს: შრომის ანაზღაურება, მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ საქართველოს ფარგლებში), ოფისის ხარჯები (საკანცელარიო, საოფისე ტექნიკა, სასტამბო ხარჯი), წარმომადგენლობითი ხარჯები (კონფერენციების/ შეხვედრების ორგანიზება), შესაბამისი არგუმენტაციის შემთხვევაში აგრეთვე სხვა ხარჯები.

2013-2014 წლებში სწავლების ცენტრის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის “სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან” გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებდა მხოლოდ გრანტების ხარჯვის სისწორის დადგენას⁸, თუმცა

⁸ 2014 წლის 11 თებერვლამდე მოქმედი „საგრანტო კონკურსის დებულების“ მიხედვით, საგრანტო თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩასატარებლად შესაძლებელი იყო შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მოწვევა, ხოლო 2014 წლის 11 თებერვლიდან ასეთი ორგანოს მოწვევა სავალდებულო გახდა.

სწავლების ცენტრის მიერ არ იყო კონკრეტულად განსაზღვრული შემოწმების მასშტაბი⁹ (ჩატარებული ექსპერტიზის სახეობა-ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა), შესაბამისად ექსპერტიზის დასკვნებში არ არის ასახული ინფორმაცია თანხების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.

ის ფაქტი, რომ საკმარისად არ ხორციელდება საგრანტო თანხების მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებული ხარჯვის მონიტორინგი აღნიშნული იყო ცესკოს 2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც.

აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა საკმარის და შესაფერის მტკიცებულებებს, რომ დავრწმუნდეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში გრანტის მიმღები ორგანიზაციების მხრიდან საგრანტო თანხების ხარჯვა მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, მიზნობრივად, ეფექტიანად და დასაბუთებულად, როგორც ეს მოითხოვებოდა საგრანტო კონკურსის დებულებებით. კერძოდ:

- ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველთან“ 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N3 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 28,627 ლარი (გრანტის საკასო ხარჯის 55 პროცენტი) გადარიცხულია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ანგარიშზე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეუძლებელია დადგინდეს აღნიშნული თანხის გადარიცხვის საფუძველი და ინსტიტუტის მიერ გაწეული მომსახურება.
- ა(ა)იპ „გენდერული კულტურის ცენტრთან“ 2013 წლის 23 ივლისს გაფორმებული N30 საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2 თვითა და 20 დღით, თუმცა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი გაწერილია სამ თვეზე. პროექტის ხელმძღვანელის მიერ პროექტის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადაც განსაზღვრულია სამი თვით, ხელფასის ყოველთვიური ანაზღაურებით. ორგანიზაციის მიერ სწავლების ცენტრისათვის წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით თეატრალური დასის მომსახურების ანაზღაურების მიზნით გახარჯულია 8,400 ლარი (საგრანტო თანხის 28 პროცენტი), თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი თეატრალურ დასთან ან თეატრალური დასის წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ამასთან, საბანკო ამონაწერის მიხედვით თანხა გადარიცხულია პროექტის დირექტორის პირად ანგარიშზე.

⁹ სწავლების ცენტრის მიერ არ იყო დაკონკრეტებული თუ რა მარეგულირებელი ნორმების მიმართ სისწორის დადგენა ევალებოდა ექსპერტიზას.

პროექტის ფარგლებში შეძენილია 6,119 ლარის ღირებულების (საგრანტო თანხის 21 პროცენტი) საწვავი. მ.შ. 2,498 ლარის საწვავი შეძენილია პროექტის დამთავრებამდე 15 დღით ადრე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (გავლილი მანძილის აღრიცხვა, გასვლისა და დანიშნულების ადგილები და ა.შ). შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით საწვავის შეძენასა და გამოყენებისას რამდენად იყო დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა საგრანტო თანხების მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვასთან დაკავშირებით.

- ა(ა)იპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრთან“ 2013 წლის 23 ივლისის გაფორმებული N25 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 5,065 ლარის საოფისე ავეჯი, მ.შ. სამადგილიანი სავარძელი, ერთადგილიანი სავარძელი, ყავის მაგიდა, ორი ცალი პუფი. ასევე, შეძენილია 120.25 ლარის ღირებულების დეკორატიული ნივთები ოფისისათვის. ჩვენ ვერ დავრწმუნდით, თუ რამდენად პროდუქტიული და ეკონომიური იყო მსგავსი მახასიათებლების მქონე აქტივების შესაძენად აღნიშნული ოდენობით ხარჯის გაწევა.

ამავე ხელშეკრულების ფარგლებში ოფისის იჯარაზე გახარჯულია 3,630 ლარი, თანაც ოთხთვიანი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 30 სექტემბერს, მაშინ როდესაც საგრანტო ხელშეკრულების დამთავრებამდე დარჩენილი იყო ერთი თვე და 25 დღე.

- ა(ა)იპ „ევროკავკასიური თანამშრომლობის ასოციაციასთან“ 2013 წლის 25 ივლისის გაფორმებული N29 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 2,350 ლარის ღირებულების ავეჯი და 1,324 ლარის ღირებულების ციფრული კამერა Samsung Galaxy. ჩვენ ვერ დავრწმუნდით მსგავსი ტექნიკური მახასიათებლებისა და ღირებულების ფოტოკამერის შეძენის გადაწყვეტილების დასაბუთებულობაში.
- ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ 2013 წლის 6 მარტს გაფორმებული N1 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში საზოგადოების ცენტრალური და რეგიონალური ოფისების იჯარაზე გახარჯულია 21,951 ლარი, მათ კომუნალურ გადასახადებზე 1,316 ლარი. ავტომანქანის სერვისულ მომსახურებაზე 1,798 ლარი. პრომო ვიდეო-კლიპის დამზადებაზე 6,490 ლარი. ასევე, შეძენილია 2,069 ლარის ღირებულების ფოტოაპარატი. ჩვენ ვერ დავრწმუნდით ზემოთ აღნიშნული ოდენობით ადმინისტრაციული ხარჯების გაწევის აუცილებლობაში.

- ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი „გორგია-ელადასთან“ 2014 წლის 15 მაისს გაფორმებული N17 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში პირადი მოხმარებისათვის შეძენილია 478.66 ლარის ღირებულების ჰიგიენის საგნები და პროდუქტები. ასე მაგალითად, ტანის დეზოდორანტი, 1 ბოთლი ზეთი, 3 ცალი გაყინული ქათამი, ერთი ცალი მარგარინი და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ აშშ მოქალაქისაგან 1,700 ლარად შეძენილია მეორადი მოხმარების ვიდეოკამერა.
- ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმართვულობის რესურს ცენტრთან“ 2014 წლის 15 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვე), 2,206 ლარი (საგრანტო თანხის 9.8 %) გახარჯულია კვების პროდუქტების და სამზარეულოს ინვენტარის შესაძენად, ხოლო 2,494 ლარი ((საგრანტო თანხის 11.0 %) საწვავის ტალონების შესაძენად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (განვლილ მანძილის აღრიცხვა, გასვლისა და დანიშნულების ადგილები და ა.შ).
- ა(ა)იპ „ბორჯღალოსთან“ 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N1 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 2,395 ლარის ღირებულების უკაბელო მიკროფონი და 1,500 ლარის ღირებულების სტუდიური განათება. აღნიშნულის შეძენის აუცილებლობა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე შეუძლებელია დადგინდეს ვინ ისარგებლა 2.0 ათასი ლარის ღირებულების ლანჩისა და 800 ლარის ღამისთევის მომსახურებით.
- ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდთან“ 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N5 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონკურსის „ჩემი ლიდერი ქალები“ გამარჯვებულთა და ლიდერ ქალთა დაჯილდოების ცერემონიალის ჩატარებაზე გახარჯულია 9,718 ლარი ანუ პროექტის საკასო ხარჯის 24 პროცენტი. გარდა ამისა, 4,450 ლარი გახარჯულია ელექტრო ტექნიკის შესაძენად. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩვენ ვერ დავრწმუნდით ასეთი ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში.
- ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტთან“ 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N6 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 2,126 ლარი გახარჯულია ოფისის იჯარაზე, 2,300 ლარი ორგანიზაციის მიერ პროექტის

ფარგლებში სხვადასხვა პირებისათვის გადასაცემი პრიზების (მობილური ტელეფონები) შესაძენად, ხოლო 5,000 ლარი 5 ცალი ფოტო/ვიდეო კამერების შესაძენად. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩვენ ვერ დავრწმუნდით ასეთი ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში.

- ა(ა)იპ „Post ალიონთან“ 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული N11 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია 3,583 ლარის ლარის ღირებულების კომპიუტერი და 3,985 ლარის საწვავის ტალონები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს საწვავის გახარჯვასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას (გავლილ მანძილის აღრიცხვა, გასვლისა და დანიშნულების ადგილები და ა.შ). ჩვენ ვერ დავრწმუნდით აღნიშნული ხარჯების გაწევის აუცილებლობასა და მიზნობრიობაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „Post ალიონსა“ და შპს „ჩოხატაურის მაცნეს“ შორის 2014 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით საგრანტო პროექტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაკისრებული ჰქონდა ამ უკანასკნელს. სულ შპს „ჩოხატაურის მაცნეს“ გადაერიცხა 30,789 ლარი, რაც მთლიანი საკასო ხარჯის (48,100 ლარი) 64%-ს შეადგენს.

ცესკო-ს მიერ 2013 -2014 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

2013 წლის განმავლობაში ცესკო-ს მიერ განხორციელებულია 3,797.4 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის: ელექტრონული ტენდერით 129,0 ათასი ლარი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერით - 765,005 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით - 196,425 ლარი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 2,707.0 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის¹⁰ საფუძველზე - 1,457.3 ათასი ლარი.

¹⁰ საქართველოს საარჩევნო კოდექსის(ორგანული კანონი) 52-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის თანახმად ცესკო უფლებამოსილია საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსით არ არის განმარტებული თუ რა ვადებს მოიცავს „საარჩევნო პერიოდი“. მისი განმარტება მოცემულია ცესკოს 2012 წლის 2 მარტის N8/2012 დადგენილებით დამტკიცებულ „საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/ საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქციის“ 1 მუხლში და საარჩევნო პერიოდი მოიცავს არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებული ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით პერიოდს.

2013 წლის განმავლობაში საარჩევნო პერიოდი მოიცავს:

15.02.2013-10.05.2013წ.(პარლამენტის შუალედური არჩევნები, კენჭისყრის დღე - 27 აპრილი).

2014 წლის განმავლობაში ცესკო-ს მიერ განხორციელებულია 5,776.7 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის: ელექტრონული ტენდერით 202,803 ლარი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერით - 1,348.7 ათასი ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით - 231,913 ლარი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 3,993.3 ათასი, მათ შორის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე - 2,876.0 ათასი ლარი.

შესყიდვების დაგეგმვა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის თანახმად ცესკო-ს 2013-2014 წლების შესყიდვები უნდა განხორციელდებინა წინასწარ განსაზღვრული, დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ცესკო-ს მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ნაწილი განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, რითაც დარღვეულია ზემოხსენებული ნორმატიული აქტების მოთხოვნები. 2013 წელს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე განხორციელებულია 40 გამარტივებული შესყიდვა, ხოლო 2014 წელს - 46.

აუდირებულ პერიოდში ცალკეულ შემთხვევებში ცესკო-ს მიერ შესყიდვების დაგეგმვის დროს არ ყოფილა გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები, შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები, შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება. ასევე, ცესკოს არ გააჩნია სრული ინფორმაცია ცესკოს საწყობსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ზოგიერთი მარაგის შესახებ. ამდენად, შესყიდვების წლიური გეგმები არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს. ყოველივე ზემოხსენებულით დარღვეულია „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების

04.07.2013-12.11.2013 (საპრეზიდენტო არჩევნები, კენჭისყრის დღე - 27 ოქტომბერი).

2014 წლის განმავლობაში საარჩევნო პერიოდი მოიცავს:

10.04.2014-03.07.2014 (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების I ტური, კენჭისყრის დღე - 15 ივნისი).

03.07.2014-22.07.2014 (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების II ტური, კენჭისყრის დღე - 12 ივლისი).

08.09.2014-04.11.2014 (ვახანის ოლქი, კენჭისყრის დღე - 30 ოქტომბერი).

სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის № 2 ბრძანების მე-4 და მე 6¹ მუხლების მოთხოვნები. ასე მაგალითად:

საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ცესკო-ს მიერ 2013 წლის 16 ივლისის ხელშეკრულებებით შპს „პრომო ვეარისგან“ შეძენილია 25,170 ლარის სხვადასხვა სახის მაისური, ხოლო შპს „პრომო შოპისაგან“ 12,770 ლარის ბლოკნოტები, საქაღალდეები და ქაღალდის ჩანთები. ასევე, შპს „პრომო შოპისაგან“ 2014 წლის 18 აპრილის ხელშეკრულებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილია 55,380 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ცესკოს ლოგოთი ბრენდირებული პროდუქცია.

ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რა ღონისძიებები იქნა გამოყენებული პოტენციური მიმწოდებლის გამოვლენისა და ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნის ბაზრის გამოსაკვლევად.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვების დაგეგმვა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე დაიწყოს და არა უგვიანეს წინა წლის 20 ნოემბრამდე დაარეგისტრიროს შესყიდვების წლიური გეგმა. ცესკო საბიუჯეტო წლის მიმდინარეობისას განსაზღვრავს შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სახეობასა და რაოდენობას. ასე მაგალითად:

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შესასყიდი საქონლის (მომსახურების) ჩამონათვალი და რაოდენობა განისაზღვრა 2013 წლის მაისში (10 მაისის N04/197 მოხსენებითი ბარათი), ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის - 2014 წლის 31 იანვრის ბოლოს (ცესკოს წევრთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სხდომის ოქმი).

ცესკოს ხელმძღვანელობა არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს შესყიდვების განხორციელების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, იქმნებოდა ხელოვნური საფუძველი სახელმწიფო შესყიდვების საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისა, რაც შეუსაბამოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

სწორი და დროული დაგეგმვის პირობებში 2013-2014 წლებში ცესკოს მიერ საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილი ცალკეული საქონელი შესაძლებელი იქნებოდა შეძენილიყო სატენდერო პროცედურების მეშვეობით. ასე მაგალითად:

2013 წელს 276,415 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, სკანერები, სავარძლები, ელემენტები, ბიულეტენების საბეჭდი ქაღალდი, საარჩევნო უბნის აბრები და ამომრჩევლის ხელმოწერის დამაფიქსირებელი სახაზავები, საარჩევნო კაბინის ნაწილები, ხოლო 2014 წელს 200,038 ლარის კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები და 185,125 ლარის ღირებულების კარტრიჯები.

უნდა აღინიშნოს, რომ ცესკო-ს მიერ კარტრიჯების, კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის პროცესი წარიმართა არაორგანიზებულად. კერძოდ, დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის მახასიათებლები მიეწოდებოდა დაგვიანებით, საარჩევნო პერიოდის დადგომის შემდგომ. ასე მაგალითად:

- დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის შესაძენი კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები მიეწოდა მოთხოვნიდან (10/02/2014) 64 დღის შემდეგ (15/04/2014).
- დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს საინფორმაციო დეპარტამენტისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის შესაძენი კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ მონაცემები მიეწოდა 2014 წლის 1 მაისს.
- კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ცესკო-ს ხელმძღვანელობის წინაშე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ საკითხი დაისვა მხოლოდ 2014 წლის საარჩევნო პერიოდის დადგომის წინა დღეებში.

ამდენად, ცესკო-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არასაკმარისი კომუნიკაციის გამო დროულად ვერ ხდებოდა შესასყიდი საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრა, რაც იწვევდა დაგვიანებულ და გადაუდებელ სახელმწიფო შესყიდვებს.

საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა

2013-2014 წლის განმავლობაში საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ცესკოს მიერ არ გატარებულა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. კერძოდ, ცესკოს მიერ არ ჩატარებულა ბაზრის მოკვლევა (მათ შორის მიმწოდებელთა გამოკითხვა) პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის, ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისა და შესასყიდი ბიულეტენების სავარაუდო ღირებულების გამოვლენის მიზნით.

2013 წლის განმავლობაში საარჩევნო პერიოდში ცესკო-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაბეჭდილია 266,055 ლარის ღირებულების ბიულეტენი (შუალედური არჩევნები და საპრეზიდენტო არჩევნები). 2014 წლის განმავლობაში საარჩევნო პერიოდში ცესკო-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაბეჭდილია 904,758 ლარის ღირებულების ბიულეტენი (არჩევნების ორივე ტური).

ერთი ცალი ბიულეტენის დაბეჭდვის ღირებულება ყველა ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო 0.075 ლარის ოდენობით. ცესკო-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულება, თუ რა გაანგარიშების საფუძველზე იქნა განსაზღვრული აღნიშნული ღირებულება.

შესყიდვებისას გადახდილი დღგ

2013-2014 წლებში ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ როგორც ტენდერის პროცედურების, ისე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულია 1,565,570.07 ლარის ბეჭდვითი მომსახურების (CPV 79800000) სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის ცესკოს მიერ - 1,361.7 ათასი ლარი, ხოლო სწავლების ცენტრის მიერ - 203,895 ლარი. შესყიდულია სხვადასხვა სახის წიგნების, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების და სხვა ანალოგიური ნაბეჭდი მასალის ბეჭდვის მომსახურება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის თანახმად ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან განთავისუფლებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 49030000000 და 49040000000 კოდებში მითითებული საქონლის (წიგნების) ბეჭდვის მომსახურების გაწევა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ცესკოს, ისე სწავლების ცენტრს არ გააჩნიათ ერთიანი კანონშესაბამისი პოზიცია ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვისას

ხელშეკრულების ფასში დღგ-ის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მაგ. ცალკეული სახეობის ნაბეჭდი მასალის (წიგნის ფორმით დაბეჭდილი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები, საარჩევნო კოდექსები) ბეჭდვით მომსახურებაში ცესკოს მიერ მიმწოდებლებისთვის გადახდილია დღგ, მაშინ როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის შესაბამისად ანალოგიური სახეობის პროდუქციის ბეჭდვის მომსახურება სწავლების ცენტრის მიერ შესყიდულია დღგ-ს გარეშე. მაგ. სწავლების ცენტრის მიერ, აღნიშნული საფუძველით, დღგ-ის გარეშე ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ელექტრონული (გამარტივებული) ტენდერები: SPA130016353 (საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა სახელმძღვანელოების, დამკვირვებლების დამხმარე სახელმძღვანელოების ბეჭდვა), SPA140010884 (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციების ბეჭდვა), SPA140011323 (კენჭისყრის დღის პროცედურების სახელმძღვანელოს, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციების ბეჭდვა), SPA140021940 (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს ბეჭდვა); ამავე დროს ცესკოს მიერ მიმწოდებლებისთვის დღგ-ის გადახდით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდულია:

- შპს „დი ენდ ჯი“-სგან (2013 წლის 26 აგვისტოს N26/08/7 და 13 სექტემბრის N13/09/4 ხელშეკრულებებით) 13,515 და 3,320 ლარის ღირებულების საარჩევნო დავების სახელმძღვანელოს, ადმინისტრაციული რესურსების სახელმძღვანელოს, ერთგვაროვანი პრაქტიკის და საარჩევნო კალენდრის ბეჭდვის მომსახურება.
- შპს „თამარიონი 2002“-სგან (2013 წლის 27 სექტემბრის N27/09/2 ხელშეკრულებით) 28,050 ლარის ღირებულების საარჩევნო კოდექსების ბეჭდვის მომსახურება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, შემოსავლების სამსახური დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილია გამოსცეს საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება. ამდენად, ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისას ცესკოს და სწავლების ცენტრს უნდა მიემართა შემოსავლების სამსახურისათვის დასაბეჭდი პროდუქციის სასაქონლო კოდის განსაზღვრის მიზნით წინასწარი გადაწყვეტილების გამოსაცემად და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებინათ ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლებზე დღგ-ის თანხის ანაზღაურება.

საბეჭდი მოწყობილობის შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერით

მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ცესკო-ს მიერ 2014 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „ესაბი“, რომელთანაც 2014 წლის 14 მარტს გაფორმებულია ხელშეკრულება მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის მიწოდებაზე თანმდევი მონტაჟით, პერსონალის ტრენინგითა და 9,000,0000 (ცხრა მილიონი) A4 ფორმატის ასლზე გათვლილი სახარჯი მასალების ჩათვლით. სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 742,800 ლარის ოდენობით, მათ შორის მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის ღირებულება (XEROX NUVERA 288) – 675,850 ლარი, ხოლო სახარჯი მასალების ღირებულება - 66,950 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ცესკოს მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში და შესაბამისად მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც განსაზღვრული და შესაბამისად მოთხოვნილი არ არის შესასყიდი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიცაა შესასყიდი ობიექტის მდგომარეობა. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის დაზუსტებული შესასყიდი ობიექტი უნდა ყოფილიყო ახალი, თუ ექსპლუატაციაში ნამყოფი, დაუზუსტებელია მიმწოდებლის და შემსყიდველის უფლება-მოვალეობების ფარგლები საგარანტიო პირობების განსაზღვრისას. სატენდერო დოკუმენტაციაში ცესკო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით, რომ მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო ვადა არა ნაკლებ 1 წლის ვადით. ცესკოს წარმომადგენლების ზეპირი განმარტებით, მათ არ გააჩნდათ არანაირი ინფორმაცია და შესაბამისად არც დოკუმენტაცია შესყიდული მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის გამოშვების ტექნიკური მდგომარეობის, გამოშვების წლის და საგარანტიო პირობების შესახებ.

ამდენად, ცესკო-ს არასრულყოფილად აქვს განხორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოები გადასახდელი ფასისა და მისაღები ხარისხის ოპტიმალური შეფარდების უზრუნველსაყოფად, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასაკმარისი სამუშაოა გაწეული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, საგარანტიო პირობების განსაზღვრის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ცესკო-სგან მოთხოვნილი იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შპს „ესაბი“-სგან შესყიდული მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის XEROX NUVERA288EA და 2014

წლის 27 მაისის #27/05/4 ხელშეკრულებით შესყიდული მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატის XEROX D110 ტექნიკური მონაცემების, გამოშვების წლისა და საქართველოში შემოტანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია თანმხლები დოკუმენტებით) წარმოდგენა. ასევე, მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია მომწოდებლის მიერ ზემოხსენებული ტექნიკის მიმართ გასავრცელებელი გარანტიის პირობების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ცესკო-ს მიერ აუდიტის ჯგუფს მოეწოდა შპს „ესაბი“-ს მიერ 2015 წლის 20 თებერვლის N028/2015 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობის XEROX NUVERA288EA და მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატის XEROX D110 შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შპს „ესაბის“-გან წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობა XEROX NUVERA288EA გამოშვების წელი (2013 წლის დეკემბერი) და მისი საგარანტიო პირობები(ე.წ. საგარანტიო ტალონი).

შპს „ესაბის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ ცესკო-სათვის მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობა XEROX NUVERA288EA და მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატი XEROX D110 მიწოდებულია არაგონივრულად მაღალი ფასნამატიტ. კერძოდ, XEROX NUVERA288EA-ს ღირებულება ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 491,344 ლარს, რაშიც ცესკო-ს გადახდილი აქვს 675,850 ლარი, ანუ 184,505 ლარის ფასნამატიტ (38%), რაც არაგონივრულად მაღალია.

ასევე არაგონივრულად მაღალი ფასნამატიტ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის (ჩანაცვლება) საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ცესკო-ს მიერ შპს „ესაბისგან“ 2014 წლის 27 მაისის #27/05/4 ხელშეკრულებით შესყიდულია მულტიფუნქციური ასლგადამღები აპარატი XEROX D110, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 141,465 ლარს. შპს „ესაბი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, იმპორტირებული XEROX D110-ს ღირებულება ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 87,441 ლარს, რაშიც ცესკო-ს გადახდილი აქვს 141,465 ლარი, ანუ ფასნამატი 54,024 ლარს (62%).

ავტომობილის ჩანაცვლება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

და შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ (მიმწოდებელი) შორის 2014 წლის 24 დეკემბერს გაფორმებული N24/12/1 ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ცესკოს კუთვნილი ა/მ „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“, სახელმწიფო ნომრით ZQZ-608, ჩანაცვლებული იქნა 2014 წელს გამოშვებული 69.0 ათასი ლარის ღირებულების კია-ს მარკის ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალებით. ცესკო-ს განმარტებით ავტომანქანის ჩანაცვლება განპირობებული იქნა მანქანის წლოვანების, მდგომარეობისა და გაზრდილი საექსპლუატაციო ხარჯების გამო. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცესკოს ბალანსზე ირიცხებოდა 2008 წელს გამოშვებული ორი ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“. 2013-2014 წლებში ჩანაცვლებულ ავტომანქანაზე, გაწეულმა ხარჯმა (შეკეთება, სათადარიგო ნაწილები) შეადგინა 6.6 ათასი ლარი, ხოლო მეორე ავტომანქანაზე (სახელმწიფო ნომერი LVL-030) 6.8 ათასი ლარი.

ცესკო-ს მიერ შპს „კია მოტორს ჯორჯიას“-სათვის გადაცემული ა/მ „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო“ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 19 დეკემბრის N5006053914 დასკვნით შეფასებულია 25.0 ათას ლარად. დასკვნაში მითითებულია, რომ „ექსპერტიზის დამნიშნავი მხარის მიერ სიტყვიერად მიწოდებული ინფორმაციით, ავტომობილის ძრავი და საჭის მართვის ღერძი საჭიროებს შეკეთებას. გადაცემათა კოლოფი, სავალი ნაწილი დაკომპლექტებულია და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია“. დასკვნის თანახმად, აღნიშნული გარემოება გახდა ავტომანქანის ფასის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველი. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო გონივრული რწმუნება და შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულება ავტომანქანის ჩანაცვლების აუცილებლობისა და საექსპერტო დაწესებულებისათვის ავტომობილის ძრავის გაუმართაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

ექსკლუზიური უფლება

ცესკო-ს აპარატის თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის შესწავლის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ცესკოს მიერ 2013 წელს შპს „აი ქიუ ცენტრთან“ გაფორმებულია 11,500 ლარის ღირებულების 2 ხელშეკრულება (N10/04/2 და N04/11/1), ხოლო 2014 წლის 20 იანვარს იმავე ორგანიზაციასთან გაფორმებულია 4,500 ლარის ღირებულების N20/01/4 ხელშეკრულება. ცესკოს ხელმძღვანელობის განმარტებით, შპს „აი ქიუ ცენტრს“ აქვს ექსკლუზიური უფლება საქართველოში „ავალონის“ მეთოდით ინგლისური მეთოდით სწავლებისა და აქედან გამომდინარე გაფორმდა მასთან ხელშეკრულება ზემოხსენებული საფუძველით. ამ საფუძველით სახელმწიფო შესყიდვა

შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით, თუ: „საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად“.

ცესკოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რატომ იქნა მიჩნეული „ავალონის“ მეთოდით ინგლისური ენის სწავლება უალტერნატივოდ და გატარებული იქნა თუ არა რაიმე ღონისძიებები შესყიდვის ობიექტის მიზანშეწონილი ალტერნატივით ჩასანაცვლებად.

სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა

ცესკოს მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ცალკეულ შემთხვევაში სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობა არაგონივრულად მაღალია, მაგალითად: SPA130018419, SPA130015453, SPA130013837 ტენდერებში გამარჯვებული პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაახლოებით 60%-ს შეადგენს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა, გონივრული სავარაუდო ღირებულების დასადგენად აუცილებელია მაქსიმალურად იქნას გამოკვეთილი და შესწავლილი მიწოდების ბაზარი. ცესკოს შემთხვევაში კი ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას არსებულ ხარვეზზე. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ შემთხვევებში (როდესაც ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის 2¹ პუნქტით ცესკოს უფლება ჰქონდა გამარჯვებული მიმწოდებლისთვის მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. ეს უფლება ცესკოს არცერთი გამარჯვებული მიმწოდებლის მიმართ არ გამოუყენებია.

სახელშეკრულებო ვადები

ცესკოს მიერ 2013-2014 წლებში საარჩევნო პერიოდში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ცალკეულ შემთხვევებში ხელშეკრულების გაფორმებისას არ გაითვალისწინებოდა საარჩევნო პერიოდის ხანგრძლივობა, რითაც ხელშეკრულებები შეუსაბამოა საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ საფუძველთან და ვადებთან. კერძოდ:

- ცესკომ 2013 წლის 19 და 30 ივლისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „აუთდორ მედია ჰაუსთან“ მის კუთვნილ ბილბორდებზე სარეკლამო ბანერების განთავსების მომსახურებაზე, რომლის მიწოდების ვადა განსაზღვრულია 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
- ცესკომ მიერ 2013 წლის 8 ივლისს გაფორმებულია ხელშეკრულება სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელთან დოკუმენტური ფილმის „საპრეზიდენტო არჩევნები, ცესკოს დღიური“ დამზადებაზე, რომლის მიწოდების ვადა განსაზღვრულია არაუგვიანეს 2013 წლის 10 დეკემბრისა.
- ცესკოს მიერ 2013-2014 წლებში საარჩევნო პერიოდებში ფიზიკური პირებისგან გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით შესყიდულია ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების მომსახურება. მომსახურების მიწოდების ვადები განსაზღვრულია საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო პერიოდის შესაძლო მაქსიმალური ხანგრძლივობის (მაგ. კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღე) მიხედვით, რაც აუდიტის ჯგუფის აზრით მიზანშეუწონელია. რეალურად საარჩევნო პერიოდის ბოლო დღე შესაძლოა არ დაემთხვეს საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადას და საარჩევნო პერიოდი დამთავრდეს ამ ვადაზე ადრე, როგორც ეს მოხდა 2013 წლის პარლამენტის შუალედური არჩევნების, საპრეზიდენტო არჩევნების და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შემთხვევებში. ამდენად, მიზანშეწონილია საარჩევნო პერიოდში გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად მითითებულ იქნეს საარჩევნო პერიოდის დამთავრების ვადა, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირებისგან ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების მომსახურებაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში ერთი თვის მომსახურების საფასური განსაზღვრულია 1,800 ლარის ოდენობით, ისე რომ არ არის

გამოკვლეული და დასაბუთებული შესყიდული მომსახურების სპეციფიკური ხასიათი, ღირებულების რეალობა, კონკრეტულად არ არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები (მაგ: სატრანსპორტო მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის დაზუსტებული სამუშაო საათები, გასაწევი სატრანსპორტო მომსახურების სავარაუდო მანძილი და ა.შ.).

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული შესყიდვები

სწავლების ცენტრის მიერ 2013 წელს განხორციელებულია 647,295 ლარის სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის ელექტრონული ტენდერით - 324,785 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვით - 322,511 ლარი. 2014 წელს განხორციელებულია 268,645 ლარის სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის ელექტრონული ტენდერით - 73,153 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვით - 195,492 ლარი.

შესყიდვების დაგეგმვა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის მე-4 მუხლის თანახმად სწავლების ცენტრს 2013-2014 წლების შესყიდვები უნდა განხორციელებინა წინასწარ განსაზღვრული, დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სწავლების ცენტრის მიერ 2013-2014 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების ნაწილი განხორციელებულია შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, რითაც დარღვეულია ზემოხსენებული ნორმატიული აქტების მოთხოვნები. მაგ: 2013 წელს სწავლების ცენტრის მიერ ePLAN მოდულში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე განხორციელებულია: ინტერნეტის ქსელების მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების, სატრანსპორტო მომსახურების, პრინტერის ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით გაფორმებული და „CMR“ მოდულში რეგისტრირებული გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები (CMR-ის ნომრები: 130046188, 130304661, 130310715, 130321277, 130051536, 130324992, 130307709, 130316813, 130354632, 130360460, 130314958, ხოლო 2014 წელს - 140118290, 140089278, 140085136, 140091703).

სწავლების ცენტრის მიერ განთავსებული სატენდერო განცხადებების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულებებს შორის სხვაობა არაგონივრულად მაღალია. მაგალითად, საარჩევნო თემატიკის ნაბეჭდი პროდუქციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ:

- ელექტრონულ ტენდერში (SPA130016431) სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 127,150 ლარით, სახელშეკრულებო ღირებულებამ 36,990 ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდო ღირებულების 29 %.
- ელექტრონულ ტენდერში (SPA130016353) სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 135,685 ლარით, სახელშეკრულებო ღირებულებამ 84,000 ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდო ღირებულების 61%.
- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140012350) სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 35,000 ლარით, სახელშეკრულებო ღირებულებამ 10,619 ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდო ღირებულების 30 %.
- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA140010884) სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 73,500 ლარით, სახელშეკრულებო ღირებულებამ 31,900 ლარი შეადგინა, ანუ სავარაუდო ღირებულების 43 %.

ზემოხსენებულ შემთხვევებში (როდესაც ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის 2¹ პუნქტით სწავლების ცენტრს უფლება ჰქონდა გამარჯვებული მიმწოდებლისთვის მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. ეს უფლება მას არცერთი გამარჯვებული მიმწოდებლის მიმართ არ გამოუყენებია.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები პოტენციური მიმწოდებლების და ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის კვლევის თაობაზე, ავეჯის, არქიტექტურული მომსახურების, ტანსაცმლის, ჭიქების(სადგამებით), სამზარეულოს ჭურჭლის, ბლოკნოტების, ბეჭდვის მომსახურების, კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების, ჩანთების შესყიდვის მიზნით CMR-ში რეგისტრირებული გამარტივებული

შესყიდვების ხელშეკრულებების გაფორმებისას (CMR-ის ნომრები: 130352303; 130345683; 130328349; 130324999; 140089278; 140118290; 140076976; 140060760; 140060742; 140085102).

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში სწავლების ცენტრის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე.

პრინტერის შესყიდვა

სწავლების ცენტრის მიერ 2013 წლის 17 აგვისტოს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA130018083 პრინტერის (მონტაჟით) და მისი თავსებადი კვების წყაროს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „ესაბი“-მ და შპს „ფოტოპლაზა“-მ. სატენდერო კომისიის მიერ მოხდა დაბალფასიანი პრეტენდენტის შპს „ფოტოპლაზას“ დისკვალიფიკაცია (მის მიერ წარმოდგენილი წინადადების სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამო) და ტენდერში გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „ესაბი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება შეთავაზებული XEROX COLOR 560-ის მიწოდებაზე.

შპს „ფოტოპლაზას“ მიერ დისკვალიფიკაციის ფაქტი გასაჩივრებული იქნა¹¹ სწავლების ცენტრში და საჩივრის ასლები გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს. სწავლების ცენტრის მიერ საჩივარი არ იქნა განხილული, იმ მოტივით, რომ საჩივარი არაგანსჯად ადმინისტრაციულ ორგანოში იყო წარდგენილი. საჩივრის ერთერთ არგუმენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სწავლების ცენტრის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერილობაში გამოყენებული იქნა ერთი კონკრეტული მოდელის, კერძოდ, XEROX COLOR 550/560-ის მონაცემები. საჩივრის ავტორის მიერ აღნიშნული იყო, რომ ტექნიკური აღწერილობის პოზიციაში - „თაროების მოცულობა“ მითითებულია საბეჭდი აპარატის მე-3 თარო უნდა იტევდეს 870 ფურცელს, ხოლო მე-4 თარო 1,140 ფურცელს. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ XEROX-ის ოფიციალური საიტის მეშვეობით მოპოვებული იქნა XEROX COLOR 550/560-ის ტექნიკური მონაცემები და ეს მონაცემები შედარებული იქნა სწავლების ცენტრის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის აღწერილობაში გამოყენებულ მონაცემებთან. დადგინდა, რომ სწავლების ცენტრის სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების უმრავლესობა (მაგ.: A4 და A3 ფორმატების ბეჭდვის სიჩქარე; პრინტერის რესურსი; მეხსიერება; მყარი დისკის მოცულობა; პროცესორის სიხშირე;

¹¹ საჩივრის რეგისტრაციის N481 05.09.2013

ეკრანის ზომა; ქაღალდის ზომა; თაროების მოცულობა; დამატებითი თარო; დუპლექსური ავტომატური მიიმწოდებელი; პირველი გვერდის ბეჭდვის გამოსვლის დრო; ბეჭდვის რეზოლუცია; სკანირების რეზოლუცია) ემთხვევა XEROX COLOR 560-ის მონაცემებს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „მსგავსი“, „ექვივალენტური“ და სხვა. ამასთან, შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების მიხედვით, დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების მორგება ერთი რომელი ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე;

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწავლების ცენტრის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით პრინტერის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია 50,625 ლარით, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დასაბუთებულობის თაობაზე. სწავლების ცენტრის მხრიდან სატენდერო დოკუმენტაციაში და შესაბამისად მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც განსაზღვრული და შესაბამისად მოთხოვნილი არ არის შესასყიდი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიცაა შესასყიდი ობიექტის მდგომარეობა. კერძოდ, არ არის დაზუსტებული შესასყიდი ობიექტი უნდა ყოფილიყო ახალი, თუ ექსპლუატაციაში ნამყოფი, დაზუსტებულია მიმწოდებლის და შემსყიდველის უფლება-მოვალეობების ფარგლები საგარანტიო პირობების განსაზღვრისას. სატენდერო დოკუმენტაციაში და მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სწავლების ცენტრი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით, რომ პრინტერი უნდა იყოს ნივთობრივად უნაკლო და საგარანტიო ვადა - არა ნაკლებ 1 წელი.

ამდენად, სწავლების ცენტრს არასრულყოფილად აქვს განხორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოები გადასახდელი ფასისა და მისაღები ხარისხის ოპტიმალური შეფარდების უზრუნველსაყოფად, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასაკმარისი სამუშაოა გაწეული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, საგარანტიო პირობების განსაზღვრის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

სწავლების ცენტრის მიერ 2014 წლის 17 მაისს გამოცხადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA140012879 მძღოლთან ერთად სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით. ტენდერის შედეგების მიხედვით ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ემ ეს ეი MSA“-თან 2014 წლის 05 ივნისს. სწავლების ცენტრის სატენდერო კომისიის მიერ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების თანახმად, მოთხოვნილი იყო, რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა ჰყოლოდა მინიმუმ ხუთი მსუბუქი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება 2004 წელს ზემოთ წარმოებული, უსაფრთხო და კომფორტული, ხოლო სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში ტენდერში მონაწილეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აეტივრთა მასსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი. ზემოაღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პრეტენდენტის წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები რეგისტრირებული იყო სხვა პირების სახელზე. ასეთ შემთხვევაში სატენდერო განცხადების მიხედვით, მას უნდა წარმოედგინა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეებთან (სუბკონტრაქტორებთან) გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც პრეტენდენტის მიერ არ წარმოდგენილა. მიუხედავად ამისა, სწავლების ცენტრის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტი გამარჯვებულად იქნა ცნობილი.

ანალოგიური შეუსაბამოებით ხასიათდება სწავლების ცენტრის მიერ საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული SPA140031231 ტენდერიც.

საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობა

საოლქო კომისიების დაფინანსება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო, რომელსაც აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები.

აუდიტორული შერჩევის საფუძველზე შემოწმებული იქნა 25 საოლქო საარჩევნო კომისიის 2013-2014 წლების საქმიანობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

აუდიტით დადგინდა, რომ საოლქო კომისიების დაფინანსება ხდება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში მათ მიმდინარე საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

შერჩეული 25 საოლქო კომისიების დაფინანსებისა და საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდგომ მათ მიერ აუთვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია ცხრილში.

წელი	დაფინანსება (ლარი)	დაბრუნებული თანხა (ლარი)
2013	1,119,750	76,018
2014	1,666,012	209,387

2013 წელს საოლქო კომისიების მიერ აუთვისებელმა თანხამ მიღებული დაფინანსების 7%, ხოლო 2014 წელს 13% შეადგინა¹², რაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაფინანსების ოდენობა განისაზღვრებოდა უშუალოდ ცესკოს მიერ ისე რომ არ ხდებოდა საოლქო კომისიების მხრიდან თანხების გამოყოფაზე მოთხოვნის წარდგენა, დაგეგმვის პროცესის სისუსტეზე მიუთითებს.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ხარვეზები

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო კომისიები ვალდებული არიან არჩევნების დასრულების შემდეგ¹³ ცესკოში წარადგინონ საფინანსო ანგარიში. საოლქო კომისიების მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ინფორმაცია არ ეფუძნება რეალურ მონაცემებს. ასე მაგალითად, ხშირად გვხვდება წმინდა ღირებულების უარყოფითი ნაშთები, რაც თეორიულად შეუძლებელია. აღნიშნული ფაქტი ცესკოს მიერ საოლქო კომისიების ფინანსურ საქმიანობაზე კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

¹² მათ შორის: 2014 წელს სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ აუთვისებელი თანხა შეადგენდა დაფინანსების 43%-ს, ხოლო გლდანის საოლქო კომისიის მიერ - 33%-ს.

¹³ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი: საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან არა უგვიანეს 30 დღისა წვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და 10 დღის ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს.

საოლქო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გამოყენება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი განისაზღვრებოდა ცესკოს დადგენილებით, თუმცა ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებები არ შეიცავდა ინფორმაციას კონკრეტული ტიპის ხარჯის დეტალური მიზნობრიობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანდ ზრდიდა საოლქო კომისიების მიერ თანხების არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

გამოვლენილი გარემოებები

შრომის ანაზღაურება

საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით¹⁴, 2013-2014 წლებში ცესკოს განკარგულებით დადგენილი იყო საოლქო კომისიების დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ზღვრული ოდენობა. ამასთან, საოლქო კომისიებს ევალებოდათ არანაკლებ ერთი ბუღალტრის და იურისტის დაქირავება. ხელშეკრულებით აყვანილ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრებოდა საოლქო კომისიის თავმჯდომარეების შეხედულებისამებრ. დამხმარე პერსონალის (მათ შორის იურისტი, ბუღალტერი) შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო, განსხვავებული იყო სხვადასხვა საოლქო კომისიების მიერ ერთი და იგივე სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა. ასე მაგალითად:

- იურისტის ერთი თვის შრომის ანაზღაურება ზოგიერთი ოლქის მიხედვით მოყვანილია ცხრილში:

ოლქი	2013 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
დიდუბე	1,671	1,504
მთაწმინდა	500	625
საბურთალო	1,000	480
ზუგდიდი	410	410
ფოთი	450	500

¹⁴ საოლქო კომისიას არჩევნების დანიშვნის შემდეგ მის დასრულებამდე უფლება აქვს, დაიქირაოს დამხმარე და ტექნიკური პერსონალი (გარდა ბუღალტრისა) ცესკოს განკარგულებით დადგენილი რაოდენობის ფარგლებში.

- ბუღალტრის ერთი თვის შრომის ანაზღაურება ზოგიერთი ოლქის მიხედვით მოყვანილია ცხრილში:

ოლქი	2013 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
დიდუბე	542	800
მთაწმინდა	525	694
საბურთალო	480	480
ზუგდიდი	450	500
ფოთი	450	500

იმის გათვალისწინებით, რომ საოლქო კომისიების თავმჯდომარეების და წევრების თანამდებობრივი სარგოები ცესკოს მიერ განისაზღვრებოდა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, მიზანშეწონილი იქნება ერთგვაროვანი მიდგომა იქნეს გამოყენებული აგრეთვე საოლქო კომისიების დამხმარე პერსონალის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშებისას.

ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა სცდებოდა საარჩევნო პერიოდს, რაც ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა შრომის ანაზღაურება ზედმეტი ოდენობით გაცემის ფაქტებს. ასე მაგალითად: თელავის საოლქო კომისიას დამხმარე პერსონალი დაქირავებული ჰყავდა 2013 წლის 1 აგვისტოდან 16 ნოემბრამდე, ხოლო ნაძალადევის საოლქო კომისიის მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრული იყო 2013 წლის 1 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე, მაშინ როდესაც საარჩევნო პერიოდი დამთავრდა 12 ნოემბერს. ვაკის საოლქო კომისიის მიერ დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 9 ივლისიდან 8 აგვისტომდე, ხულოს საოლქო კომისიას კი დამხმარე პერსონალი დაქირავებული ჰყავდა 2014 წლის 3 ივლისიდან 30 ივლისამდე, მაშინ როდესაც საარჩევნო პერიოდი დამთავრდა 22 ივლისს.

აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო კომისიების მიერ დამხმარე პერსონალის სახით დაქირავებული იყვნენ საოლქო კომისიის თავმჯდომარის, საოლქო კომისიის მუდმივი წევრების ახლო ნათესავები, ასევე მათ მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების ხელმძღვანელები. ასე მაგალითად:

- ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში დამხმარე პერსონალის სახით დასაქმებული იყვნენ კომისიის თავმჯდომარის მეუღლე და ოლქის თავმჯდომარის მიერ დაფუძნებული საწარმოს დირექტორი, დიდუბის საოლქო

კომისიაში-თავმჯდომარის მიერ დაფუძნებული ფირმის დირექტორი და საოლქო კომისიის წევრის ძმა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ შრომის ანაზღაურების გაცემა ხდებოდა არა თანამშრომლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, არამედ ნაღდი ანგარიშსწორებით. ასე მაგალითად: 2013-2014 წლებში ახალქალაქის და დიდუბის საოლქო კომისიების მიერ შრომის ანაზღაურება წარმოებდა ნაღდი ანგარიშსწორებით. ამასთან, დიდუბის ოლქის 2013 წლის ნოემბრის სახელფასო უწყისში არ ფიქსირდება იურისტის და ერთი დამხმარე პერსონალის ხელმოწერა.

ზემოთ განხილული ფაქტები მიუთითებს საოლქო კომისიების შრომის ანაზღაურების პროცესში არსებულ ხარვეზებზე და ცესკოს მიერ საოლქო კომისიების საქმიანობის კონტროლის სისუსტეზე.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევა

საარჩენო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით საოლქო კომისიის თავმჯდომარეები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. აუდიტით დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში საოლქო კომისიის თავმჯდომარეები იმავდროულად ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-60 და 63-ე მუხლის¹⁵ მოთხოვნებთან. ასე მაგალითად:

- საბურთალოს საოლქო კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად იყო და დღემდე არის კერძო სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელი (დირექტორი).
- ქუთაისის საოლქო კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად იყო და დღემდე არის კერძო სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელი (დირექტორი).
- ამბროლაურის საოლქო კომისიის თავმჯდომარე ამავე დროს ინდივიდუალური მეწარმეა.
- ლანჩხუთის საოლქო კომისიის თავმჯდომარე ამავე დროს ინდივიდუალური მეწარმეა.

¹⁵ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-60 მუხლი: მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარეგვიზო ორგანოს წევრი. 63-ე მუხლი: მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს.

- ნაძალადევის საოლქო კომისიის თავმჯდომარე ამავე დროს სოლიდალური პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელია.

ინტერესთა კონფლიქტი

საოლქო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის¹⁶ მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტებს, კერძოდ ინტერესთა კონფლიქტს. ასე მაგალითად:

- 2013-2014 წლებში ჩუღურეთის საოლქო კომისიის მიერ 28,478 ლარის სატრანსპორტო მომსახურება (საწვავით უზრუნველყოფა წარმოადგენდა საოლქო კომისიის ვალდებულებას) შეძენილი იყო ოლქის თავმჯდომარის მეუღლისგან, რომელთანაც როგორც აღინიშნა იმავდროულად გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. იმავე პერიოდში, ჩუღურეთის საოლქო კომისიის მიერ 20,175 ლარის ღირებულების ავტომობილის დაქირავებისა და საარჩევნო უბნების მოწყობის მომსახურება შესყიდული იყო საოლქო კომისიის თავმჯდომარის მიერ დაფუძნებული საწარმოს დირექტორისგან. საარჩევნო უბნების მოსაწყობად საჭირო ინვენტარის დაქირავებაზე (ჯამურად 26,000 ლარი) ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ორ პირთან, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენდნენ საოლქო კომისიის დამხმარე პერსონალს. 10,070 ლარის ღირებულების საოლქო კომისიის შენობის სარემონტო სამუშაოები შესყიდული იყო ოლქის დამხმარე პერსონალისგან.
- 2013-2014 წლებში ფოთის საოლქო კომისიის მიერ ამავე საოლქო კომისიის ბუღალტრის მიერ დაფუძნებული საწარმოსგან შეძენილი იყო ჯამურად 10,520 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი.

საწვავის ხარჯვა

2013-2014 წლებში საოლქო კომისიებისთვის სხვა ხარჯების მუხლით გამოყოფილი თანხები საოლქო კომისიების მიერ უმეტესწილად გამოყენებულია საწვავის შესაძენად. რიგ შემთხვევებში საწვავის შეძენა ხდებოდა არა კონსოლიდირებული ტენდერის, არამედ

¹⁶ შესყიდვის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს მომწოდებლის შერჩევისას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ექმნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ასე მაგალითად: 2013 წლის აგვისტოში საბურთლოს და ახალქალაქის ოლქის მიერ გამარტივებული შესყიდვით შეძენილი ერთი ლიტრი საწვავის (ბენზინი ევრორეგულარი) ფასმა შეადგინა 1.95 ლარი, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ერთი ლიტრი ანალოგიური საწვავის კონსოლიდრებული ტენდერის საშუალებით შეძენა შეიძლებოდა 1.91 ლარად. 2014 წლის მაისში ჩუღურეთის ოლქის მიერ გამარტივებული შესყიდვით შეძენილი ერთი ლიტრი საწვავის (ბენზინი ევრორეგულარი) ფასი შეადგენდა 2.03 ლარს, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში კონსოლიდრებული ტენდერის საშუალებით 1.97 ლარად შესაძლებელი იყო უფრო მაღალი ხარისხის ერთი ლიტრი საწვავის შეძენა. საწვავის კონსოლიდრებული ტენდერის საშუალებით შეძენის შემთხვევაში დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები.

აუდირებულ პერიოდში საწვავის შეძენა ხდებოდა ტალონებით, რაც საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობდა. აუდიტით დადგინდა, რომ საწვავის ხარჯვის პროცესზე როგორც საოლქო კომისიების, ასევე ცესკოს მიერ არასაკმარისი კონტროლი იყო დაწესებული. ასე მაგალითად:

- მთაწმინდის, ვაკის, გორის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის საოლქო კომისიების მიერ დადგენილი იყო ყოველთვიური ლიმიტები საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენ ვერ მივიღეთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, თუ რა გაანგარიშების საფუძველზე მოხდა მათი დამტკიცება. გარდა ამისა, საწვავის ლიმიტები ძირითადად სრულად იყო ათვისებული და შესაბამისად, არ ფიქსირდებოდა გაუხარჯავი ტალონების დაბრუნების არცერთი ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ფოთის საოლქო კომისიის მიერ საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის მიერ საწვავის ლიმიტის განსაზღვრის თაობაზე, რაც არ იძლევა საშუალებას დავრწმუნდეთ თუ ვის მიერ და რა მიზნით მოხდა საწვავის გახარჯვა.

აუდიტით გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში შეძენილი საწვავი გადაცემულია არა საოლქო საარჩევნო უბნებზე, არამედ გამოყენებულია უშუალოდ საოლქო კომისიის მიერ. ასე მაგალითად: ახალქალაქის ოლქის მიერ 2013 წელს შეძენილი 7,000 ლიტრი საწვავიდან ოლქის მიერ გამოყენებულია 4,980 ლიტრი (71%), ხოლო 2014 წელს შეძენილი 6,600 ლიტრიდან 3,590 ლიტრი (54%). სამგორის ოლქის მიერ 2013 წელს შეძენილი 6,500 ლიტრი საწვავიდან ოლქის მიერ გამოყენებულია 4,190 ლიტრი (64%), ხოლო 2014 წელს შეძენილი 8,900 ლიტრი საწვავიდან 4,920 ლიტრი (55%). დიდუბის ოლქის მიერ 2013 წელს შესყიდული 5,920 ლიტრი საწვავიდან, ოლქის მიერ გახარჯულია 4,110 ლიტრი (69%),

ხოლო 2014 წელს შეძენილი 11,720 ლიტრი საწვავიდან, ოლქის მიერ გახარჯულია 8,480 ლიტრი (72%). წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ოლქის თავმჯდომარისა და წევრების მიერ მხოლოდ საწვავის მიღების ფაქტები, ხოლო მათ მიერ ზემოთ აღნიშნული ოდენობით საწვავის გამოყენების აუცილებლობასა და მიზანშეწონილობაზე შესაფერისი რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

აუდირებულ პერიოდში ადგილი ჰქონდა საწვავის არაეკონომიურად, არამიზნობრივად და დაუსაბუთებლად ხარჯვის ფაქტებს. ასე მაგალითად:

- ბათუმის საარჩევნო ოლქში საწვავის ტალონები საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელზე გაცემულია მათთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის მიხედვით ტალონის მიმღები ვალდებული იყო საწვავის სატრანსპორტო საშუალებაში ჩასხმიდან ერთი დღის ვადაში, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის წარედგინა საწვავის გახარჯვის აქტი. უმეტეს შემთხვევაში საწვავის გახარჯვის აქტებზე არ ფიქსირდება თარიღები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ადგილი აქვს დღის განმავლობაში საწვავის ხარჯვის არარეალურ ფაქტებს. ასე მაგალითად: 2014 წლის 8, 10 და 11 ივლისს საწვავის გახარჯვის აქტების თანახმად, ავტომანქანა „ოპელი“-ს მიერ თითოეულ დღეში გახარჯულად ნაჩვენებია 60 ლიტრი საწვავი, რაც მაქსიმალური წვის კოეფიციენტით (10ლX100კმ-ზე, მხოლოდ ქალაქში გადაადგილების შემთხვევაში მაქსიმალური ხარჯი) გაანგარიშებით, დღეში გავლილი მანძილი დაახლოებით 600 (60*100/10) კილომეტრს შეადგენს, რაც აუდიტის ჯგუფის აზრით არარეალურია.
- 2013 წლის 22-23 სექტემბერს ბათუმის საარჩევნო ოლქში საარჩევნო კომისიების სხდომების ჩატარების მიზნით საარჩევნო კომისიის 5 წევრზე გაცემულია 250 ლიტრი საწვავის ტალონი (თითო წევრზე 50 ლიტრი). საოლქო კომისიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გონივრული რწმუნება აღნიშნული ოდენობით საწვავის ხარჯვის თაობაზე.
- რუსთავის ოლქის მიერ 2013 წელს სექტემბრის თვეში შეძენილი 5,750 ლიტრი საწვავიდან 1,770 ლიტრი გადაცემულია საარჩევნო უბნებზე, 2,270 ლიტრი გაცემულია საოლქო კომისიის წევრებზე ისე რომ არ არის წარმოდგენილი საწვავის გახარჯვის აქტები, ხოლო დარჩენილი 1,710 ლიტრის ხარჯვაზე ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.
- ხულოს ოლქის მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის ჩატარების მიზნით შეძენილი 4,830 ლიტრი საწვავიდან საწვავის გახარჯვის დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ 4,616 ლიტრზე, ხოლო

არჩევნების მეორე ტურის ფარგლებში შეძენილი 4,240 ლიტრი საწვავიდან ხარჯვის დოკუმენტაცია წარმოდგენილია 3,746 ლიტრზე.

- ოზურგეთის საოლქო კომისიის მიერ წარმოდგენილ საწვავის გახარჯვის აქტებში მითითებულია, რომ საწვავი გაიხარჯა 2013 წლის 23 აგვისტოდან 10 დეკემბრამდე პერიოდში. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო პერიოდი დამთავრდა 2013 წლის 12 ნოემბერს, საწვავის ნაწილი გახარჯულია არასაარჩევნო პერიოდში.
- ოზურგეთის საოლქო კომისიის მიერ საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებზე 2013 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული საწვავის უწყისით გაცემული საწვავის ოდენობა შეადგენდა 2,250 ლიტრს. საწვავის ტალონების გაცემის უწყისებში ზოგიერთ პიროვნებაზე მათი ხელმოწერის გარეშე კალმით ჯამში დამატებულია (მიწერილია) 400 ლიტრი საწვავი.
- მესტიის ოლქის მიერ 2014 წელს საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება საწვავის მიმღებ პირთა ხელმოწერები, ხოლო უბნებზე საწვავის გაცემის აქტები არ არის დათარიღებული.
- გორის საოლქო კომისიის მიერ არასაარჩევნო პერიოდში (2013 წლის 12 ნოემბრის შემდეგ) დამხმარე პერსონალზე გაცემულია 620 ლიტრი საწვავი, თუმცა საწვავის გახარჯვის აქტები არ იქნა წარმოდგენილი.
- ვაკის საოლქო კომისიის მიერ არასაარჩევნო პერიოდში (2014 წლის 22 ივლისის შემდეგ) ოლქის კომისიის წევრებზე გაცემულია 220 ლიტრი საწვავი.
- სამგორის საარჩევნო ოლქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამგორის ოლქის კომისიის თავმჯდომარემ თავის მოადგილეს 2013 წლის 11 მაისს გადასცა 1,040 ლიტრი საწვავი საუბნო საარჩევნო კომისიების საარჩევნო საქმიანობის ხელშეწყობისა და მონიტორინგის განხორციელების მიზნით, თუმცა საწვავის გახარჯვის აქტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განხორციელებული შესყიდვები

როგორც აღინიშნა ცესკოს მიერ საოლქო კომისიებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა უნდა განხორციელებულიყო არჩევნების ჩატარების ღონისძიებების

უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა აუდიტის ჯგუფი ვერ დარწმუნდა არჩევნების ჩატარებისთვის ისეთი ღირებულებისა და დასახელების საქონლის შესყიდვის საჭიროებაში, როგორიცაა:

2013 წელი

- 600 ლარის ღირებულების გასაშლელი კიბე (დიდუბის ოლქი)
- 1,100 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტები (ბაღდათის ოლქი)
- 1,670 ლარის სამზარეულოს ტექნიკა, რბილი ავეჯი, ჟურნალების მაგიდა, სარკე (ახალქალაქის ოლქი)
- 786 ლარის ღირებულების კვების მომსახურება (ისნის ოლქი)
- 425 ლარის ღირებულების 8 ცალი მობილური ტელეფონი (სამგორის ოლქი)
- 450 ლარის ღირებულების სამსუნიგის მობილური ტელეფონი¹⁷ (სამტრედიის ოლქი)
- 598 ლარის ტელევიზორი თავისი საკიდით (საბურთალოს ოლქი)
- 2,270 ლარის კედლის კონდინციონერი, დისპანსერი, ტელევიზორი თავისი სამაგრით და 2,500 ლარის ფარდა-ჟალუზები (ქუთაისის ოლქი)
- 2,236 ლარის 52 ცალი მობილური ტელეფონი¹⁸ (ჩუღურეთის ოლქი).

2014 წელი

- 500 ლარის ღირებულების საბურღი მოწყობილობა (დიდუბის ოლქი)
- 1,850 ლარის ღირებულების საოფისე სავარძლები და მაგიდა, 1,500 ლარის ღირებულების საოფისე კარადა თაროებით (რუსთავის ოლქი)
- 1,080 ლარის ღირებულების ყავა, ჩაი, შაქარი (ბაღდათის ოლქი)
- 500 ლარის ღირებულების ტაფა, მტვერსასრუტი, მიკროტალღური ღუმელი (მესტიის ოლქი)
- 740 ლარის ღირებულების კვების მომსახურება (ისნის ოლქი)
- 479 ლარის ტელევიზორი (ხულოს ოლქი)
- 1,900 ლარის რბილი ავეჯი, ტელევიზორი, ტელევიზორის სადგამი, ტუმბო და მაგიდა (ახალქალაქის ოლქი)
- 1,230 ლარის ავეჯი, 410 ლარის ტელევიზორი და 419 ლარის მაცივარი (სამგორის ოლქი)
- 790 ლარის ფარდა-ჟალუზები (თელავის ოლქი)
- ივნისის თვეში 1,280 ლარის თერმოსტატიანი კონვექტორი-ელექტრო გამათბობელი (ჩუღურეთის ოლქი)

¹⁷ შესყიდულია 2013 წლის 11 ნოემბერს, ანუ საარჩევნო პერიოდის დასრულების წინა დღეს.

¹⁸ 2013-2014 წლების ინვენტარიზაციის აქტები არ არის წარმოდგენილი.

- 480 ლარის ფოტოაპარატი მეხსიერების ბარათით და 485 ლარის დივანი. ივლისის თვეში-380 ლარის გაზის გამათბობელი (გორის ოლქი).

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულია არასაარჩევნო პერიოდში, რითაც დარღვეულია საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის¹⁹, 53-ე მუხლის²⁰ და ცესკოს 2014 წლის 16 აპრილის N20/2014 და 2014 წლის 28 ივნისის N38/2014 დადგენილებების²¹ მოთხოვნები. ასე მაგალითად:

- ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 10 ივლისის ხელშეკრულებებით შეძენილია 1,000 ლარის ღირებულების საკანცელარიო საქონელი, რომლის მიწოდების ვადა სცილდებოდა საარჩევნო პერიოდს და ამასთან, საქონლის მიწოდება განხორციელდა საარჩევნო პერიოდის (2014 წლის 22 ივლისი) დასრულების შემდგომ.
- საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 24-25 ივლისს, ანუ საარჩევნო პერიოდის შემდგომ შეძენილია 470 ლარის კონდინციონერი, 495 ლარის ლედ-ტელევიზორი და 1,798 ლარის სარემონტო სამუშაოები.
- გორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით 2014 წლის 30 ივლისს შეძენილია 380 ლარის გაზის გამათბობელი და 99 ლარის ჰიგიენური საშუალებები, ხოლო 11 აგვისტოს 485 ლარის ავეჯი.
- ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით 2014 წლის 12 აგვისტოს შეძენილია 2,601 ლარის სამშენებლო საქონელი.
- ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2014 წლის 28 ივლისს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილია 75 ლარის კონდინციონერის მონტაჟის მომსახურება.

¹⁹ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია საარჩევნო/სარეგულაციო პერიოდში არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

²⁰ საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს დადგენილებით ადგენს ცესკო.

²¹ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მორიგი არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე.

საოლქო კომისიების განმარტებით, ვინაიდან მათი დაფინანსება ხორციელდებოდა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში იმულებულნი იყვნენ შესყიდვები განხორციელებინათ არჩევნების ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხებიდან.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გადახდები განხორციელებულია წინასწარი ანგარიშსწორებით მიმწოდებლისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 21¹ მუხლის²² და შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის²³ მოთხოვნები. ასე მაგალითად:

- სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2014 წლის 8 ივლისს შეძენილია 300 ლარის ავეჯი მომწოდებლისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე წინასწარი ანგარიშსწორებით.
- ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2013-2014 წლებში საწვავის, საკანცელარიო ნივთების, მობილური ტელეფონით სასაუბრო ბარათების, ავეჯის შეძენა განხორციელებულია წინასწარი ანგარიშსწორებით მომწოდებლისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე.
- 2014 წელს ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საწვავი, სამეურნეო და ელექტრო საქონელი, მობილური ტელეფონით სასაუბრო ბარათები შეძენილია მომწოდებლისთვის თანხის წინასწარი გადარიცხვით მისგან საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე.

კავშირგაბმულობის ხარჯი

2013-2014 წლებში საოლქო კომისიების მიერ კავშირგაბმულობის ხარჯზე არ იყო დაწესებული ლიმიტი, ხოლო ხსენებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდებოდა ე.წ. „მონო-ბარათების“ მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მათი არამიზნობრივად და არაეკონომიურად გამოყენების რისკებს. აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთი საოლქო კომისიის მიერ გაწეულია არაგონივრულად დიდი ოდენობის კავშირგაბმულობის ხარჯი,

²² წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

²³ წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია.

რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. ასე მაგალითად:

- დიდუბის საოლქო კომისიის მიერ 2013 წელს გაწეულია 2,000 ლარის კავშირგაბმულობის ხარჯი (მ.შ ოლქის მიერ 1,490 ლარი), ხოლო 2014 წელს - 4,400 ლარი (მ.შ ოლქის მიერ 3,320 ლარი).
- ნაძალადევის საოლქო კომისიის მიერ 2013 წელს კავშირგაბმულობის ხაჯრზე გაწეულია 2,200 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით უზნებზე გაცემულია 1,275 ლარის მონო-ბარათები, ხოლო დარჩენილ თანხაზე (925 ლარი) ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გადაზიდვის ხარჯები

ცესკოს დადგენილებები საოლქო კომისიებისთვის არჩევნების ჩატარების მიზნით ფულადი სახსრების გამოყოფის შესახებ ითვალისწინებდა საოლქო კომისიების მიერ გადაზიდვის მომსახურების შესყიდვას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო გონივრული რწმუნება გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. ასე მაგალითად:

- 2013 წელს ბათუმის საარჩევნო კომისიასა და მეწარმე სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, ტვირთების გადაზიდვის მომსახურებაზე სულ გაწეულია 1,200 ლარის ხარჯი. არც ხელშეკრულებებში და არც მიღება-ჩაბარების აქტებში არ იყო მითითებული ტვირთის დასახელება და გადაზიდვის ადგილი. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია გონივრული რწმუნების მიღება გახარჯული თანხების მიზნობრიობაზე.
- 2013 წელს ქობულეთის საარჩევნო კომისიის მიერ სატრანსპორტო მომსახურებაზე სხვადასხვა ფიზიკურ პირებთან გაფორმებულია სულ 4 ხელშეკრულება, ღირებულებით 2,000 ლარი. არც ხელშეკრულებებში და არც მიღება-ჩაბარების აქტებში არ იყო მითითებული ტვირთის დასახელება და გადაზიდვის ადგილი.

საარჩევნო უბნის ქირაობა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მონაცემების საფუძველზე

ადგენს და აზუსტებს იმ შენობა-ნაგებობათა ნუსხასა და მისამართებს, რომლებიც საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიძლება გამოიყენოს საარჩევნო მიზნებისთვის. ამავე კოდექსის 58-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიას გადასცემენ დროებით, უსასყიდლოდ. ამასთანავე, ეს ორგანოები ვალდებული არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

აუდიტით დადგინდა, რომ საოქლო საარჩევნო კომისიები საარჩევნო უბნის განსათავსებლად შენობა-ნაგებობებს სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ქირაობდნენ სხვადასხვა პირებისგან. აღნიშნული ფაქტი საოქლო კომისიების თავმჯდომარეთა ზეპირი განმარტებით გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მათ ტერიტორიაზე არ მოიძებნა შენობა-ნაგებობები, რომლებიც შეეძლოთ მიეღოთ ადგილობრივი თვითმმართველობებისგან უსასყიდლოდ. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური დასაბუთება იმისა, რომ საოქლო კომისიები რეალურად ვერ სარგებლობდნენ საარჩევნო კოდექსის ზემოთ ხსენებული 23-ე და 58-ე მუხლებით მინიჭებული უფლებებით. გამომდინარე იქედან, რომ საარჩევნო უბნების განსათავსებლად შენობა-ნაგებობის ქირაობა ხდებოდა უშუალოდ საარჩევნო პერიოდში, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ საბიუჯეტო სახსრები არაეკონომიურად იქნეს გამოყენებული. ასე მაგალითად:

- საბურთალოს საარჩევნო ოლქის მიერ საარჩევნო უბნების განსათავსებლად იჯარის ხელშეკრულება 2013 წელს გაფორმებულია 6 სუბიექტთან 3,475 ლარზე, ხოლო 2014 წელს 7 სუბიექტთან 11,640 ლარზე.
- ვაკის საარჩევნო ოლქის მიერ საარჩევნო უბნების განსათავსებლად იჯარის ხელშეკრულება 2013 წელს გაფორმებულია 6 მომწოდებელთან 3,490 ლარი, ხოლო 2014 წელს 8 მომწოდებელთან 8,380 ლარზე.
- ისნის საარჩევნო ოლქის მიერ საარჩევნო უბნების განთავსების მიზნით 2013 წელს გახარჯულია 950 ლარი, ხოლო 2014 წელს 2,675 ლარი.

აუდიტის ჯგუფის აზრით, აღნიშნული საკითხის მოგვარების კუთხით ცესკოს მიერ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით შესაძლებელი იქნება საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვნად დაზოგვა.

მატერიალური მარაგების ხარჯვა

აუდირებულ პერიოდში ადგილი ჰქონდა როგორც მატერიალური მარაგების არაეკონომიურად ხარჯვის, აგრეთვე მათი აღდგენის ფაქტებს, რაც არასათანადო კონტროლით იყო გამოწვეული. ასე მაგალითად:

- 2013 წელს ოზურგეთის საარჩევნო კომისიის მიერ შეძენილი 1,746 მეტრი ელ.სადენიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გახარჯული იყო 1,396 მეტრი სადენი. სხვაობა შეძენილსა და გაცემულ ელ.სადენს შორის (350 მეტრი) საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში და ივენტარიზაციის აქტში არ იყო აღრიცხული. ამასთან, ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაიცემოდა დიდი ოდენობით ელ. სადენი (40-100 მეტრი), ხოლო შესრულებული სამუშაოს აქტები ელ. სადენის საარჩევნო უბნებზე დამონტაჟების შესახებ შედგენილი არ იყო.
- ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისია ყოველი საარჩევნო წლისთვის ახდენდა ელ. დამაგრძელებლების შესყიდვას დაახლოებით ერთი და იგივე ოდენობით ისე, რომ წინა წელს შეძენილი ელ.დამაგრძელებლის დაბრუნება და გამოყენება მომდევნო საარჩევნო წლებისთვის აღარ ხდებოდა. კერძოდ, 2013-2014 საარჩევნო წლებში შეძენილი იყო 1,7 ათასი ლარის ღირებულების 153 ცალი ელ. დამაგრძელებელი (მათ შორის 2013 წელს 70 ცალი, ხოლო 2014 წელს 83 ცალი), საიდანაც საარჩევნო უბნებზე მიღება-ჩაბარების აქტებით გაცემულად ნაჩვენებია 141 ცალი. არჩევნების დასრულების შემდეგ, საარჩევნო უბნებიდან საოლქო კომისიაში დოკუმენტურად ელ. დამაგრძელებლის დაბრუნების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.
- მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის განმავლობაში შესყიდულია 40 ცალი კალკულატორი, 30 ცალი მაკრატელი და 70 ცალი სტეპლერი, ხოლო მეორე ტურის განმავლობაში 20 ცალი კალკულატორი, 30 ცალი მაკრატელი და 30 ცალი სტეპლერი. საოლქო კომისიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი გონივრული რწმუნება მატერიალური მარაგების ზემოთ ხსენებული ოდენობით ხელმეორედ შესყიდვის განხორციელების თაობაზე.
- ფოთის და დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საერთოდ არ წარმოებდა 2013-2014 წლებში შეძენილი მატერიალური მარაგების ხარჯვის დოკუმენტალური აღრიცხვა.

- თელავის საოლქო საარჩევნო კომისია ყოველი საარჩევნო წლისთვის ახორციელებდა საკანცელარიო საქონლის ერთი და იგივე დასახელების და რაოდენობის საკანცელარიო საქონლის შესყიდვას. ასე მაგალითად, როგორც 2013, ასევე 2014 წელს შესყიდულია 216-216 ცალი გამომთვლელი მანქანა, 162-162 ცალი ფარანი, 162-162 ცალი სტეპლერი, 216-216 ცალი მაკრატელი, 324-324 ცალი სახაზავი, 216-216 ცალი ნათურა, 162-162 ცალი სათლელი, 1620-1620 ცალი კალამი, 216-216 ცალი მარკერი. არ დაფიქსირებულა საარჩევნო უბნებიდან საოლქო კომისიაში საკანცელარიო საქონლის დაბრუნების არცერთი ფაქტი.

უფროსი აუდიტორი



მერაბ ზაიცევი

უფროსი აუდიტორი



ლაშა ჭანტურიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



ალეკო იობიძე

აუდიტორ-ასისტენტი



ვახტანგ პერტაია

აუდიტორ-ასისტენტი



ირაკლი ქანთარია